სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ბიუროს საქმიანობის წლიური ანგარიში

2024 წელი

www.expertiza.gov.ge

„ჩვენი მიზანია მომხმარებლისთვის მეცნიერებაზე დაფუძნებული, მაღალკვალიფიციური საექსპერტო მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ეფუძნება საექსპერტო საქმიანობის მუდმივი განვითარების კონცეფციას“

2024 წელი ბიუროსთვის საიუბილეო თარიღია. მას დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. ეს არის არა მხოლოდ თარიღი, არამედ ასობით პროფესიონალის ერთობლივი შრომის, თავდადების და წარმატების ისტორია. 20 წლის განმავლობაში ჩვენ ერთად შევქმენით ინსტიტუცია, რომელიც გახდა სანდოობისა და პროფესიონალიზმის მაგალითი.

ამ წლების მანძილზე დაინერგა და განვითარდა საექსპერტო მიმართულებები, ექსპერტებმა მიიღეს საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება, შეიქმნა თანამედროვე სტანდარტის ლაბორატორიები, აღიზარდა პროფესიონალთა რამდენიმე თაობა და ჩამოყალიბდა უნიკალური საექსპერტო ცოდნის ბაზა. წარმატებით ხორციელდება სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სფერო კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

2024 წელს ბიუროს საქმიანობა მოიცავდა არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას და პროექტს. მოქნილი და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების გაწევის მიზნით, ბიუროში საკადრო პოლიტიკის მიმართულებით განხორციელდა რამდენიმე ცვლილება - აღდგა ადმინისტრაციული დეპარტამენტი და საექსპერტო მიმართულებების ეფექტიანად საქმიანობის მიზნით ჩამოყალიბდა დამატებითი სტრუქტურული ერთეული - ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი. ასევე, საჭიროებებიდან გამომდინარე, 2025 წელს შეიქმნება ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

საანგარიშო პერიოდში, ბიურომ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, რომელიც სრულიად ითვალისწინებს მომხმარებლის, მათ შორის სხვადასხვა საჭიროებების მქონე პირთა ინტერესებს. ამასთან, მაქსიმალურად კომფორტული გარემოა შექმნილი ბიუროს ყველა თანამშრომლის ეფექტური, ხარისხიანი და წარმატებული საქმიანობისთვის.

მსგავსად გასული წლებისა, 2024 წელსაც პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ექსპერტების პროფესიული განვითარება. მათ არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა და ასევე, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო პროფესიულ ტესტირებებში.

მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტის მომსახურების დანერგვის და განვითარების გარდა, ფასეულია ბიუროს თანამშრომლებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა, მათ ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვა. სწორედ ამ მიზნით, ბიურო უკვე რამდენიმე წელია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას, რაც მომდევნო წლებშიც აქტიურად გაგრძელდება.

მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში და მადლიერება გამოვხატო ბიუროს თითოეული თანამშრომლის მიმართ, რომლებმაც არ დაიშურეს ძალისხმევა, თავიანთი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი ერთგულებით, უდიდესი წვლილი შეეტანათ ქვეყანაში მართლმსაჯულების განვითარებაში.

მჯერა, ბევრ მნიშვნელოვან სიახლეებს ჩაეყრება საფუძველი ბიუროს წინსვლის და ქვეყნის წარმატების საქმეში. წინ დიდი გეგმები და გამოწვევებია.

გიორგი თვაური

ბიუროს უფროსი

სარჩევი

ბიუროს შესახებ

ბიუროს ისტორია

ბიუროს მისია, ფუნქცია და ამოცანები

მომსახურების სფეროები

ბიუროს სტრუქტურა

დეპარტამენტები

განხორციელებული პროექტები

ინფრასტრუქტურა

უწყვეტი განათლება

საკვალიფიკაციო ტესტირებები

ტრენინგები, კონფერენციები

ISO სტანდარტი

2024 წლის სტატისტიკა

სოციალური პროექტები

ბიუროს ისტორია

ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დაარსდა 2004 წლის 4 ნოემბერს, რითაც ახალი ფურცელი გადაიშალა საქართველოს სამართლებრივ სივრცეში. ამასთან, აღსანიშნავია იმ ადამიანების დამსახურება, რომლებმაც ექსპერტიზის ბიურო 2004 წლამდე მოიყვანეს.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო 1949 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილი კრიმინალისტიკის ლაბორატორიის სამართლამემკვიდრეა საქართველოში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოცენტი გ. მათიაშვილი. ლაბორატორია სამართალდამცავი ორგანოების დავალებით ატარებდა ხელნაწერი დოკუმენტების კრიმინალისტიკურ ექსპერტიზებს. მისი თანამშრომლები ასწავლიდნენ ახალგაზრდა გამომძიებლებს და მოსამართლეებს ექსპერტიზაზე გადასაგზავნი მასალების მომზადების წესებს.

1951 წელს ახალგაზრდა იურისტებმა გოგი ციმაკურიძემ, ოთარ მგელაძემ, ალექსანდრე თადუმაძემ, ოთარ ჟღენტმა და აპოლონ ფალიაშვილმა ექვსთვიანი სტაჟირება გაიარეს მოსკოვში და ქართველებს შორის პირველებმა მიიღეს ექსპერტ -კრიმინალისტის კვალიფიკაცია. ამავე წელს, უნივერსიტეტში არსებულმა ლაბორატორიამ შეწყვიტა საქმიანობა და პირველი დეკემბრიდან მის ბაზაზე იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირება დაიწყო კრიმინალისტიკის ლაბორატორიამ.

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია პირველი გახლდათ მთელს პოსტ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელმაც დაიწყო სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება ყველა მიმართულებით, ასევე დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა და ტრასოლოგიური ექსპერტიზები.

დროთა განმავლობაში ლაბორატორიის სფეროები გაფართოვდა და დაემატა ბიოლოგიური, ქიმიური, საინჟინრო, ფინანსური და სასაქონლო ექსპერტიზები. 2004 წლისთვის უკვე საქართველოში ფუნქციონირებდა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, ცალკე სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორატორია, კირიაკ ზავრიევის სახელობის საინჟინრო ცენტრი და ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

2004 წელს ექსპერტიზის და სპეციალური გამოკვლევების ცენტრის ხელძღვანელად დაინიშნა ლევან სამხარაული. სწორედ მისი ხლმძღვანელობის პერიოდში, ბიურომ განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, სხვადასხვა საექსპერტო ლაბორატორია გაერთიანდა და ერთიან სისტემაში მოქცეულ საექსპერტო დაწესებულებად ჩამოყალიბდა.

ლევან სამხარაულის თაოსნობით დაიწყო ბიუროს ინსტიტუციური განვითარება, პირველი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდოლოგიის დანერგვის მიმართულებით, დაიწყო ინფრასტრუქტურის განვითარება და ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა, გაეზიარებინათ საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება. სწორედ ამ პერიოდში დაიმკვიდრა ბიურომ ავტორიტეტული და სანდო საექსპერტო დაწესებულების სახელი.

სამწუხაროდ მოღვაწეობიდან მოკლე ხანში, ლევან სამხარაული ტრაგიკულად დაიღუპა. მის პატივსაცემად, ექსპერტიზის სფეროს განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ღვაწლის აღსანიშნად, ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ საქმიანობა განაგრძო, როგორც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ.

ლევან სამხარაულის გზა წარმატებით განაგრძო ბიუროს თითქმის ყველა ხელმძღვანელმა. მიშვნელოვანია მათი წვლილი ბიუროს განვითარებაში. ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთი-მეორის მიყოლებით იქმნებოდა საერთაშორისო სტანდარტის ლაბორატორიები. ექსპერტები ეუფლებოდნენ ახალ ტექნოლოგიებს, იძენდნენ საერთაშორისო გამოცდილებას, რომელსაც შემდგომ ნერგავდნენ თავიანთ საქმიანობაში.

წლებთან ერთად ბიურო ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. ჩამოყალიბდა რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტები, სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებები, ჯერ მცირე ადამიანური და მატერიალური რესურსებით, თუმცა ამ ეტაპზე, თანამედროვე სტანდარტის შენობებით და მაღალკვალიფიციური ექსპერტებით დაკომპლექტებული.

მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საქმიანობის ხარისხის სტანდარტის დანერგვა. თანამშრომლთა დაუღალავი შრომის და ჩართულობის შედეგად, ბიუროს ლაბორატორიები აკრედიტებულია აისო 17025 სტანდარტის შესაბამისად.

დღეს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ევროპის სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) წევრია, რაც განაპირობა ექსპერტების მაღალკვალიფიციურმა წარმატებულმა საქმიანობამ, ექსპერტიზების უტყუარობამ და სანდოობამ.

20 წლის თავზე საქართველოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო მართლმსაჯულებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი - სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სახით, რომელიც წამყვანი საექსპერტო დაწესებულებაა რეგიონში და სრულად არის მორგებული და ორიენტირებული თითოეული მომხმარებლის მოთხოვნაზე.

ბიუროს მისია

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანს წარმოადგენს მეცნიერებაზე დაფუძნებული, კვალიფიციური საექსპერტო მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ემყარება ხარისხისა და ანალიტიკური საქმიანობის მუდმივი განვითარების კონცეფციას.

ბიუროს ამოცანაა, საექსპერტო კვლევებისთვის გამოიყენოს საყოველთაოდ აღიარებული და დანერგილი სამეცნიერო ტექნოლოგიები, ჩაატაროს მაღალკვალიფიციური ექსპერტიზები და მუდმივად გააუმჯობესოს და განავითაროს საკუთარი მომსახურება. საქმიანობიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლიანობისა და მართლმსაჯულების სისტემის განვითერაბას.

ბიუროს ფუნქციები

- სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნის ან დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;
- სასამართლო-საექსპერტო მომსახურების განხორციელება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასება და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება;
- სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის განხორციელება, ახალი მიდგომების დანერგვა და გამოკვლევათა სრულყოფა;
- საქართველოს და საერთაშორისო სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- დაქტილოსკოპიური, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება;
- ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა სასამართლო ექსპერტიზის საკითხების შესახებ;
- მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მომსახურების სფეროები

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა;
- სასაქონლო ექსპერტიზა;
- ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- საინჟინრო ექსპერტიზა;
- ნავთობ- პროდუქტების ექსპერტიზა;
- კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირების და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ჰისტოლოგიური ექსპერტიზა);
- ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური);
- ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული); ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობისთვის სავალდებულო ექსპერტიზა (ამბულატორიული,სტაციონალური);
- კომპიუტერული ექსპერტიზა;
- სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასება;
- ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება.

ბიურო უფლებამოსილია კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სხვა სახის ექსპერტიზებიც.

ბიუროს სტრუქტურა

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მასშტაბით, მის შემადგენლობაში არსებული სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული საქმიანობის მეშვეობით.

რეგიონული დეპარტამენტების გარდა, ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებები მდებარეობს შიდა ქართლში (კარალეთი), ქვემო ქართლში (რუსთავი), სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე) და კახეთში (გურჯაანი), სადაც მომხმარებელს სამედიცინო ექსპერტიზის გარდა, შესაძლებლობა აქვს აიღოს ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ.



ბიუროს სტრუქტურა

ბიუროს წარმატებას, მისი ყველა სტრუქტურული დანაყოფის ეფექტური და მაღალკვალიფიციური საქმიანობა განაპირობებს. თითოეული დეპარტამენტი მოქმედებს, როგორც მნიშვნელოვანი რგოლი ერთიან ჯაჭვში და გაერთიანებულია საერთო მიზნისთვის, რასაც მომხმარებლის კმაყოფილება და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მომსახურება ჰქვია.

ადმინისტრაციული დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის, იურიდიული, საქმისწარმოების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოებს და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს.

ადმინისტრაციის უმთავრესი მიზანია, ერთიანი საკადრო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, მომხმარებელზე ორიენტირებული ხარისხიანი მომსახურება, კომპეტენციის ფარგლებში, ბიუროში დასაქმებულ თანამშრომელთათვის კომფორტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა და მოტივაციის ამაღლება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ბიუროს ინტერესებს იცავს საქართველოს საერთო სასამართლოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში. კოორდინაციას უწევს საზოგადოებასთან პროაქტიულ კომუნიკაციას და ბიუროს შესახებ არსებული სიახლეების გავრცელებას. ხელს უწყობს თანამშრომლებს პროფესიულ განვითარებაში და კადრების მოზიდვის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, მათ შორის: სტაჟირების პროგრამას, სტუდენტებთან პროფორიენტაციის განმსაზღვრელ შეხვედრებს და ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო-შემეცნებითი ტურების ორგანიზებას ბიუროში.

ადმინისტრაციის მულტიფუნქციური როლი საშუალებას იძლევა ბიურომ ეფექტურად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და ყოველთვის იყოს ორიენტირებული მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებაზე.

ეკონომიკური დეპარტამენტის ფინანსური აღრიცხვის, შესყიდვების, ლოჯისტიკის და ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური და საბუღალტრო საქმიანობის კოორდინირებაზე და უზრუნველყოფენ უწყების ყველა რგოლის სრულფასოვან მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას, რაც გულისხმობს როგორც ყოველდღიური საოპერაციო საჭიროებების, ისე გრძელვადიანი განვითარებისთვის აუცილებელი სახსრების მობილიზებას.

დეპარტამენტი გეგმავს და ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს. ეს პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და საჯარო რესურსების ოპტიმალური გამოყენების პრინციპებს. შედეგად, ბიურო ინარჩუნებს შეუფერხებელ, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას, როგორც ყოველდღიურ რეჟიმში, ისე განსაკუთრებული გამოწვევების პირობებში.

ეკონომიკური დეპარტამენტის საქმიანობა წარმოადგენს უწყების სტაბილურობისა და განგრძობითი განვითარების გარანტს, რაც საშუალებას იძლევა ორგანიზაციამ სრულად აღასრულოს საზოგადოების დაკვეთა.

ბიუროს სტრუქტურა

შიდა ინსპექტირების დეპარტამენტი წარმოადგენს ბიუროს ორგანიზაციული ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც მეთვალყურეობას უწევს თანამშრომელთა მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების, დისციპლინური რეგულაციების, შინაგანაწესისა და მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ზედმიწევნით დაცვას.

დეპარტამენტის საქმიანობის არეალი მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე რეაქტიულ ღონისძიებებს. კერძოდ, მისი კომპეტენციის ფარგლებში ხორციელდება თანამშრომელთა გადაცდომებისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებების სისტემური იდენტიფიცირება, მათი გამომწვევი ძირეული მიზეზების ანალიზი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანგარიშების მომზადება. დეპარტამენტი არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების აღმოჩენით. ის შეიმუშავებს მრავალმხრივ სარეკომენდაციო დოკუმენტაციას, რომელიც მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული შემთხვევების სამართლიან გადაწყვეტას, ისე მსგავსი ინციდენტების პრევენციას მომავალში. ამ მიდგომით, ის ხელს უწყობს ბიუროში ორგანიზაციული კულტურის სწავლების დამკვიდრებას.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

უზრუნველყოფს საერთაშორისო საექსპერტო სივრცეში ორგანიზაციის ინტეგრაციასა და საქმიანობის მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას.

დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს ურთიერთობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ კორპუსთან და პარტნიორ ინსტიტუციებთან. პარალელურად, აქტიურად თანამშრომლობს წამყვან საერთაშორისო საექსპერტო დაწესებულებებთან, რაც მიზნად ისახავს ბიუროს პერსონალის პროფესიული თვალსაწიერის გაფართოებას. კერძოდ, იგი ორგანიზებას უწევს თანამშრომელთა მონაწილეობას პრესტიჟულ საერთაშორისო ტრენინგებში, სემინარებსა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში. აღნიშნული უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის უწყვეტ სრულყოფას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

ხარისხის კონტროლის მიმართულებით დეპარტამენტი ხელს უწყობს ბიუროში დანერგილი საერთაშორისო სტანდარტების სისტემურ განვითარებასა და სრულყოფას უახლესი გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით. ასევე აწარმოებს ხარისხის მართვის სისტემის კომპლექსურ მონიტორინგს, რომელიც ორიენტირებულია როგორც მიმდინარე პროცესების ოპტიმიზაციაზე, ისე გრძელვადიანი ხარისხის გარანტიების უზრუნველყოფაზე.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გუნდი, აღჭურვილი უახლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აპარატურით, ახორციელებს ფართო სპექტრის კრიმინალისტიკურ კვლევებს: დაქტილოსკოპიურს (თითის ანაბეჭდების ანალიზი), ბალისტიკურს (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის კვლევა), ტრასოლოგიურს (კვალის შესწავლა), ვიდეო, ფონოსკოპიურ და ჰაბიტოსკოპიურს (ხმის ჩანაწერების ანალიზი), ხელწერისა და დოკუმენტების ტექნიკურ შემოწმებას. ასევე, სატრანსპორტო და სახანძრო-რადიაციულ ექსპერტიზებს.

დეპარტამენტის ექსპერტები იყენებენ მეცნიერულად დასაბუთებულ თანამედროვე მეთოდოლოგიას, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების მაღალ სიზუსტესა და სანდოობას სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში.

ბიუროს სტრუქტურა

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი დეპარტამენტი, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს, უახლესი სამედიცინო რეგულაციებისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების სრული დაცვით, ახორციელებს კომპლექსურ საექსპერტო კვლევებს ნივთიერებათა ფართო სპექტრზე. მათ შორისაა: ქიმიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზები, რომლებიც ავლენენ სხვადასხვა ნივთიერებათა შემადგენლობას და შესაძლო მავნე ზემოქმედებას; მედიკამენტების სიღრმისეული კვლევა, რაც მოიცავს როგორც ფარმაცევტული პრეპარატების იდენტიფიცირებას, ისე მათი მოქმედების პრინციპების დადგენას; საკვები პროდუქტებისა და სასმელების ლაბორატორიული შესწავლა, მათი შემადგენლობის, უვნებლობისა და ხარისხობრივი მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით; თამბაქოს ნაწარმისა და ნავთობპროდუქტების დეტალური ანალიზი, რაც შესაძლებლობას იძლევა ზუსტად დადგინდეს მათი წარმოშობა, შემადგენლობა და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

საზოგადოებრივ საჭიროებებზე და თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, პროაქტიულად შეიმუშავებს მეთოდოლოგიებს და ნერგავს ახალ საექსპერტო მიმართულებებს.
ლაბორატორიები 2013 წლიდან უწყვეტად ფლობენ ISO 17025 სტანდარტის აკრედიტაციას, რაც წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ხარისხის გარანტიას.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი წარმოადგენს ბიუროს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომელიც გამორჩეულ ადგილს იკავებს მართლმსაჯულების სისტემასა და სამედიცინო-გენეტიკური კვლევების სფეროში. მისი მულტიფუნქციური საქმიანობა ვრცელდება როგორც სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესზე, ისე ბიოლოგიური იდენტიფიკაციისა და გენეტიკური პათოლოგიების დიაგნოსტიკის მიმართულებებზე.

დეპარტამენტის ლაბორატორიები 2013 წლიდან უწყვეტად ფლობენ ISO 17025 საერთაშორისო აკრედიტაციას. რაც ადასტურებს, რომ ექსპერტიზის წარმოების მეთოდოლოგია, აპარატურული უზრუნველყოფა და სამეცნიერო პროტოკოლები სრულად შეესაბამება გლობალურ სტანდარტებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს, საქართველოს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. დნმ ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და მეთოდოლოგიური ინოვაციების შედეგად, დღეს უკვე ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომია სხვადასხვა მემკვიდრული დაავადებების ადრეული გამოვლენა მოლეკულურ-გენეტიკურ დონეზე. აღნიშნული იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, დროულად დაინერგოს პრევენციული მექანიზმები, რაც ფუნდამენტურად ცვლის პიროვნების ცხოვრების ხარისხს.

დეპარტამენტის ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ და სამედიცინო-გენეტიკურ ასპექტებს, წარმოადგენს განსაკუთრებულ ღირებულებას. როგორც მართლმსაჯულების სისტემის, ისე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროსთვის.

ბიუროს სტრუქტურა

სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტი ახორციელებს, როგორც უძრავი (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები), ისე მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ტექნიკა, ძვირფასეულობა) ექსპერტიზას - თვისებების, ხარისხის, წარმოშობისა და ღირებულების კვლევისა და შეფასების მიხედვით. აღნიშნულ ექსპერტიზებს აწარმოებენ სერთიფიცირებული, მაღალკვალიფიციური ექსპერტები.

2021 წლიდან სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტი შეფასების დარგში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IVSC) წევრია. ექსპერტიზის ბიუროს გარდა საბჭო მსოფლიოს მასშტაბით აერთიანებს 137 ქვეყნის 170 -ზე მეტ წევრს. მათ შორის, ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, როგორიცაა Earnst and Young, Bloomberg, Deloitte და სხვა. აღნიშნული ორგანიზაციის წევრობა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩატარებული ექსპერტიზების მაღალ სტანდარტს და მომხმარებლის სანდოობას.

ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი წარმოადგენს საექსპერტო მიმართულებას,სადაც ექსპერტები დეტალურად სწავლობენ, აანალიზებენ ორგანიზაციის ან პირის ფინანსურ დოკუმენტაციას, ანგარიშგებასა და ოპერაციებს სპეციალური მეთოდებით.

საზოგადოებრივი თვალსაზრისით, აღნიშნული ექსპერტიზა უზრუნველყოფს ფინანსური ბაზრების გამჭვირვალობას, ამაღლებს ინვესტორთა ნდობას, აუმჯობესებს კორპორაციულ მართვას და ეხმარება ორგანიზაციებს რისკების იდენტიფიცირებაში.

სამართლებრივ ჭრილში ფინანსური ექსპერტიზა წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას ფინანსურ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებში, საგადასახადო დავების გადაწყვეტისას, გაკოტრების პროცესებში, აქტივების გაყოფისა და შერწყმა-შეძენის დროს. ექსპერტიზის წარმოებისას გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, ფულადი ნაკადების კვლევა და შიდა კონტროლის სისტემების შეფასება, რის შედეგადაც დგება ოფიციალური დასკვნა იურიდიული ძალით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში წარადგენენ სამართლებრივ პროცესებში.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი აერთიანებს როგორც საექსპერტო, ისე ბიუროს ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებებს.

დეპარტამენტის უმთავრესი ამოცანაა ბიუროს საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, ლოკალური კომპიუტერული ქსელისა და ინტერნეტკავშირის უწყვეტ მუშაობაზე ზრუნვა, ბიუროს ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით. პარალელურად, კვალიფიციური სპეციალისტები ატარებენ მაღალი სირთულის კომპიუტერულ-ტექნიკურ ექსპერტიზებს, როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე, ისე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნით, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მართლმსაჯულების განხორციელების და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ბიუროს სტრუქტურა

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის , სიღრმისეულად აანალიზებს და წყვეტს საგამოძიებო ორგანოების მიერ წამოჭრილ კომპლექსურ საკითხებს. რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეების გამოძიების პროცესის ეფექტურად წარმართვაში.

საექსპერტო საქმიანობასთან ერთად, დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო - მიმართულების განვითარებას. წამყვან სამედიცინო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, ახორციელებს სამედიცინო სფეროს მომავალი სპეციალისტების - სტუდენტებისა და რეზიდენტების პრაქტიკულ მომზადებას სასამართლო მედიცინისა და სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით.

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის საქმიანობის არეალში შედის სასამართლო-ფსიქიატრიული, სასამართლო-ფსიქოლოგიური და კომპლექსური ექსპერტიზები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეების ობიექტურად გადაწყვეტის პროცესში. აღნიშნული ექსპერტიზების ჩატარების შედეგად დგინდება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპარტამენტის როლი ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის პროცესში, რაც გულისხმობს მათი შესაბამისი სერვისებითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სამშენებლო სექტორის განვითარებაში. კვალიფიციური საინჟინრო ექსპერტების მიერ შემუშავებული პროფესიული დასკვნები უზრუნველყოფენ სამშენებლო პროცესების უსაფრთხოებასა და ხარისხს.

დეპარტამენტი ახორციელებს მრავალმხრივ საქმიანობას: აწარმოებს სამშენებლო მასალების ლაბორატორიულ კვლევას, უზრუნველყოფს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას, ატარებს კონსტრუქციების მდგრადობისა და საიმედოობის ანალიზს.

საექსპერტო ფუნქციების გარდა, დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა, ბიუროს ექსპერტების მიერ შექმნილი ნოვაციური ბეტონის ნარევი, რომელიც ადგილობრივი ბუნებრივი მასალებისგანაა დამზადებული და ხელს უწყობს მშენებლობის დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას.

ბიუროს რეგიონებში წარმოადგენენ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის და აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტები.

დეპარტამენტები დაკომპლექტებულნი არიან მაღალკვალიფიციური ექსპერტებით და სრულფასოვან მომსახურებას უწევენ მომხმარებლებს სხვადასხვა საექსპერტო მიმართულებით.

ინფრასტრუქტურული პროექტები

2024 წელს ბიურომ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა. სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ცენტრალურ ოფისს, კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) შენობის ნაწილს, სამედიცინო და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტების და შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების შენობის ფასადს. ასევე, შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში განხორციელდა შენობის შიდა ინტერიერის და ეზოს ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის და გარე განათების ქსელის სარემონტო სამუშაოები.

შიდა ქართლის სამედიცინო ესპერტიზის განყოფილება

ყოველწლიურად მიმდინარეობს ბიუროს ლაბორატორიების აღჭურვა და განახლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აპარატურით, რაც კიდევ უფრო ამარტივებს, აუმჯობესებს და აჩქარებს ექსპერტიზის წარმოების პროცესს.

2024 წელს ბიურომ საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული, ბიოლოგიური, ქიმიური, კრიმინალისტიკური, საინჟინრო და სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორატორიებისთვის საკვლევი აპარატურა შეიძინა.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში შეძენილ იქნა 24 კაპილარიანი, 4 პლატფორმიანი სისტემა (384 ნიმუშისთვის), "SeqStudio Flex", ახალი "GMIDX 1.7" პროგრამული უზრუნველყოფით, რომელმაც დნმ-ფრაგმენტების ანალიზის პროცესის წარმადობა, ერთსა და იმავე დროში, გაზარდა სამჯერ.

დნმ-ის გამოსაყოფად, შეძენილ იქნა ავტომატური ექსტრაქტორი, HID NIMBUS Presto QNA systems რომელიც ერთდროულად, სპეციალისტის ჩარევის გარეშე, 96 დნმ-ნიმუშს მოამზადებს შემდგომი საექსპერტო კვლევისთვის

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში, ასევე **დასავლეთ საქართველოს და აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებებში** სრულად განახლდა ჰისტოლოგიური კვლევისთვის (ქსოვილოვანი მასალის პროცესინგის, ნახევრად მოტორიზებული როტაციული მიკროტომის, სლაიდების დაფარვის ავტომატური აპარატის, სტეინერის და თერმოაბაზანის) საჭირო ტექნიკა.

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის, ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის სამმართველოსთვის, სროლის პროდუქტების კვალის აღმოსაჩენად და ქიმიური შემადგენლობის დასადგენად შეძენილ იქნა სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპი SEM-EDX



ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიისთვის ბიურომ შეიძინა სითხური ქრომატოგრაფი ტანდემური მასსპექტრომეტრული ფილტრით Thermo scientific LC-MS/MS და **PEAK** აზოტის კომბინირებული გენერატორი.

ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის სამმართველოსთვის განხორციელდა ავტომატური დისტილაციის ანალიზატორის შესყიდვა

საინფორმაციო-ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტში განხორციელდა კომპიუტერული ექსპერტიზის ლაბორატორიის სასერვერო ინფრასტრუქტურის მონაცემთა სანახის და ქსელური ინფრასტრუქტურის სისტემის განახლება. ასევე, შეძენილ იქნა მობილური ტელეფონებიდან ინფორმაციის ამომღები და აღმდგენი პროგრამული უზრუნველყოფა (MOBILedit Forensic PRO, MOBILedit Cloud Forensic, Camera Ballistics) და დაზიანებული მყარი დისკებიდან, SSD-დან და მეხსიერების ბარათებიდან ინფორმაციის ამოღება/აღდგენის პროგრამული უზრუნველყოფა (ACELab PC-3000 Portable III Ultimate System, ACELab PC-3000 Flash All-in-One Package)

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრისთვის (დეპარტამენტი) შეძენილ იქნა ფერდის მდგრადობის, დაგეგმილი მშენებლობის მომიჯნავედ არსებულ შენობებისა და ასევე მეტროსადგურის გვირაბებზე შესაძლო ზეგავლენის, სამშენებლო ქვაბულის, საყრდენი კედლის (და მსგავს საინჟინრო ნაგებობებზე) ექსპერტიზების ჩასატარებლად საჭირო საანგარიშო პროგრამა - GEO-5-ის ე.წ. „Professional Paskage“ სრული პაკეტი



კრიმინალისტიკური, ბიოლოგიური და ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტებისთვის განხორციელდა ხელის ანაბეჭდის გამოსავლენი მრავალსპექტრული პორტატული მოწყობილობის და ორი ერთეული მრავალსპექტრული ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სახის უხილავი კვლების გამოსაშკარავებელი მოწყობილობების შესყიდვა.



სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით, შესყიდულ იქნა მობილური რენტგენის და რადიოგრაფიული აპარატები.

ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის ბალისტიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიებში განახლდა ჩეხური კომპანია „Lucia“-ს მიერ წარმოებული ბალისტიკური და ტრასოლოგიური კვლევითი სისტემების „Balscan“ -ის და „Toolscan“ -ის პროგრამული უზრუნველყოფა. „Balscan“-ი ახორციელებს მასრებისა და ტყვიების დეტალურ კვლევას, ხოლო „Toolscan“-ი შესაბამისი ობიექტების დეტალურ კვლევას. საკვლევი ნიმუშების სკანირებით მიღებული გამოსახულების, ექსპერტიზისათვის საჭირო ფორმატსა და განზომილებაში გადატანის გზით. სისტემას გააჩნია მდიდარი აპარატურულ პროგრამული ფუნქციონალი, რაც უზრუნველყოფს, რთული კატეგორიის საკვლევ ობიექტებზე შედეგის მიღებას.



ფონოსკოპიური ექსპერტიზის მიმართულებით, ჩანაწერების კვლევისთვის განახლდა OTExpert Forensic Audio System პროგრამული უზრუნველყოფა, რის შედეგადაც, პროგრამას დაემატა აუდიოფაილებზე მონტაჟის გამოვლენის ახალი ალგორითმები, ფაილის მეტამონაცემის ანალიზის ფუნქცია, ასევე ვიდეოფაილზე არსებული აუდიოსიგნალების კვლევის მხარდაჭერა და ფონოსკოპიური კვლევის ჩატარებისათვის საჭირო სხვა მრავალი ფუნქცია.



დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის მიმართულებით შერჩეული და შეძენილ იქნა კომპანია „Projectina“-ს მიერ შემუშავებული კვლევითი სისტემა „SPECTRA Pro +“, რომელიც წარმოადგენს დარგში არსებული თანამედროვე მეცნიერული მიღწევების ერთგვარ ნაკრებს, უკანასკნელ ნიმუშს, რომელმაც ხანგრძლივი დროის მანძილზე, სრულად უნდა უზრუნველყოს დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის ფარგლებში განსახორციელებელი კვლევების ჩატარება.

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უპირველესი პრიორიტეტია, მომხმარებლისთვის მაღალკვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება. ამ მიზნის მისაღწევად, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტთა უწყვეტი პროფესიული განათლების უზრუნველყოფას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საექსპერტო საქმიანობის მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად, არსებითია, ლაბორატორიების აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ლაბორატორიათშორის ტესტირებებში, რაც წარმოადგენს ბიუროს მიერ გაცემული დასკვნების სანდოობისა და პროფესიონალიზმის გარანტიას.

მუდმივი კვალიფიკაციის ამაღლება და თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვა უზრუნველყოფს, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიურო კვლავაც დარჩეს საექსპერტო მომსახურების სანდო და ავტორიტეტულ მიმწოდებლად, რომელიც პასუხობს როგორც ადგილობრივ საჭიროებებს, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.

2024 წლის განმავლობაში ბიუროს ლაბორატორიებმა არაერთ საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის:

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებმა წარმატებით გაიარეს - GEDNAP – გერმანიის დნმ პროფილირების ჯგუფის და CTS-ამერიკის ლაბორატორიათაშორისი ტესტირების სამსახურის მიერ ორგანიზებული ლაბორატორიათშორისი ტესტირებები.

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის და ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორიებმა წარმატებული შედეგები აჩვენეს სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის „ENFSI“-ს და ნიდერლანდების ლაბორატორიათაშორის კვლევათა ინსტიტუტის (IIS) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებაში.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის ლაბორატორიებმა დაქტილოსკოპიის, ბალისტიკის, ტრასოლოგიის, დოკუმენტების ტექნიკური და ვიდეო-ჰაბიტოსკოპიური და ფონოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიებმა საერთაშორისო დონეზე აღიარებული, აშშ-ს კომპანია CTS -ის და სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის ENFSI მიერ მოწოდებულ საკვალიფიკაციო ტესტირებაში მიიღეს მონაწილეობა და საუკეთესო შედეგები აჩვენეს.



გარდა საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებისა, ბიუროს სხვადასხვა ლაბორატორიების ექსპერტებმა 2024 წელს არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა:

სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებმა წარმატებით გაიარეს უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებლის ტრენინგი და განაახლეს სერთიფიკატები ISO/IES 17024 სტანდარტის მიხედვით;

არამატერიალური აქტივების შეფასების კუთხით, ტრენინგები გაიარეს **ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის** ექსპერტებმა. აღნიშნული ტრენინგი ითვალისწინებს ISO/IEC 17024 სტანდარტით ექსპერტების სერთიფიცირებას საფინანსო და საგადასახადო კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის, მათ შორის, ბიზნესის მიმართულებით;

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდამჭერი პროექტი საქართველოში“ - ფარგლებში ბიუროს თანამშრომლებმა გაიარეს ინტენსიური ტრენინგი - სახელმწიფო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შესახებ, რომლის შედეგად, ბიუროს თანამშრომლები დაეუფლნენ კვლევის ჩატარების მეთოდებსა და საჭირო უნარ-ჩვევებს.

აშშ-ს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ორგანიზებით, ექსპერტებმა გაიარეს სასწავლო კურსი „ სასამართლოში ჩვენების მიცემის წესი“- ს შესახებ.

ბიუროს აკრედიტირებული ლაბორატორიების ხარისხის კოორდინატორებმა გაიარეს საქართველოს ლაბორატორიების ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგი: "სსტ ისო 17025:2017/2018 სტანდარტის ინტერპრეტაცია და ზოგადი პრინციპების მიმოხილვა”.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებმა გაიარეს online ტრენინგი თემაზე: “CODIS მიმოხილვა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან მიმართებაში“

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს:

- თურქეთის ქალაქ იზმირში გამართულ ტრენინგში „Thermo Fisher Scientific”-ის პარტნიორი ლაბორატორიების სხვადასხვა ნიმუშების ულტრათანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიისა და აღჭურვილობის გაცნობის მიზნით;

- ჩეხეთის ქალაქ პრაღაში გამართულ შეხვედრაში კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში გამოყენებადი უახლესი მეთოდებისა და მსოფლიოს წამყვანი კომპანიების მიერ წარმოებულ მიკროსკოპებზე მუშაობის გაცნობის მიზნით.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტებმა, შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, „ENFSI“-ს ეგიდით გამართულ „ENFHEX“-ის მე-15 კონფერენციაში და ექსპერტთა საერთაშორისო გაერთიანებების პროფილური ჯგუფის ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა.

2024 წელი ბიუროსთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო საერთაშორისო კონფერენციებში, შეხვედრებსა და ვებინარებში მონაწილეობის კუთხითაც. მთელი წლის განმავლობაში ბიუროს ბიოლოგიური, კრიმინალისტიკური, სამედიცინო, ქიმიურ-ნარკოლოგიური, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტების ექსპერტები ჩაერთნენ სხადასხვა თემატურ კონფერენციებში კერძოდ:

ბიოლოგიური დეპარტამენტის ექსპერტებმა ქ. ბარსელონაში, კატალონიის ავტონომიური პოლიციის (Mossos d'Esquadra) ორგანიზებით, გამართულ CODIS მონაცემთა ბაზების მომხმარებელთა კონფერენციაში და ENFSI დნმ-ექსპერტთა (DNA-E) სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში;

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტისა და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დიდი ბრიტანეთის, ქ. ლონდონში ევროპის სასამართლო ექსპერტიზის (Forensics Euro expo) გამოფენა-კონფერენციაში.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა აშშ, ქ. ლას ვეგასში, კიბერ-უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო (DEFCOM) კონფერენციაში.

საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დაესწრო მალტის რესპუბლიკაში ქ. ქავარაში, სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) ორგანიზებით გამართულ ხარისხისა და კომპეტენციის სამუშაო ჯგუფის (QCLG) ყოველწლიურ შეხვედრა-კონფერენციას.

ბერლინში, ადამიანის გენეტიკის ევროპის ასოციაციის კონფერენციაზე, ბიუროს სახელით, ბიოლოიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტების მიერ წარდგენილ იქნა პრეზენტაცია, „Analysis of the distribution of Factor V (G1691A; H1299R), Prothrombin (G20210A), MTHFR (C677T; A1298C) and PAI-1/SERPINE1 (4G/5G) genetic factors in Georgian population patients with Thrombosis, Pregnancy complications and infertility.“



აღსანიშნავია, 2024 წლის განმავლობაში, ბიუროს უფროსის და საექსპერტო მიმართულების ხელმძღვანელი პირების სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

ბიუროს უფროსის, გიორგი თვაურის და ბიუროს უფროსის პირველი მოადგილის ვახტანგ კარგარეთელის მონაწილეობით გაიმართა მე-19 საერთაშორისო სასამართლო-სამედიცინო კონგრესი, სადაც ბიუროს ხელმძღვანელმა კოლეგებს წარუდგინა პრეზენტაცია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სტრუქტურისა და ექსპერტიზის სისტემის სამუშაო სპეციფიკის შესახებ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ბიუროს უფროსმა გიორგი თვაურმა გახსნა უგზო - უკვლოდ დაკარგული პირებისა და სტიქიური უბედურებების მსხვერპლთა იდენტიფიცირების საერთაშორისო სიმპოზიუმში თბილისში, რომელსაც ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები ესწრებოდნენ.

მთელი წლის განმავლობაში, ბიუროს სხვადასხვა საექსპერტო ლაბორატორიებმა სასწავლო ტურებით უმასპინძლეს, როგორც სხვა ქვეყნის საერთაშორისო საექსპერტო ლაბორატორიებს, ასევე ათობით სტუდენტს, სკოლის მოსწავლეს და იმიტირებულ ექსპერტიზებში მონაწილეობის შესაძლებლობასთან ერთად, დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს, ბიუროს საქმიანობის სპეციფიკის, საექსპერტო სფეროს და დანერგილი თანამედროვე მეთოდოლოგიის შესახებ.

ბიუროს ექსპერტები, ასევე აქტიურ მენტორულ საქმიანობას ეწეოდნენ, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო კონფერენციებში და ტრენინგებში.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირების პროცესში მონაწილეობა

2024 წელს, ბიოლოგიური და სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზის ექსპერტების აქტიური მონაწილეობით, წარმატებით გაგრძელდა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა და სამოქალაქო პირთა იდენტიფიცირების პროცესი.

დღეის მდგომარეობით, ჯამში, საკოორდინაციო მექანიზმის მუშაობის შედეგად 526 ადამიანის ნეშტი იქნა ნაპოვნი და ექსჰუმირებული. ამოცნობილია 317 სამხედრო და სამოქალაქო პირის ნეშტი, რომლებიც გადაეცათ ოჯახებს.

აღნიშნული პროექტი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ბიუროს ურთიერთანამშრომლობით, 2013 წლის სექტემბრიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

საერთაშორისო სტანდარტი ისო/იეკ 17025:2017/2018

საექსპერტო სფეროში მომხმარებლის ნდობის, პროფესიონალიზმისა და საერთაშორისო აღიარების მთავარი გარანტი ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტებული საექსპერტო მომსახურებაა. აღნიშნული სტანდარტი წარმოადგენს ხარისხის მართვის უმაღლეს ნიშნულს, რომელიც სპეციალურად შემუშავებულია საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიებისთვის, რაც განსაკუთრებით რელევანტურია საექსპერტო საქმიანობაში. სწორედ ამ მიზნით, ბიურო სისტემატურად ხელმძღვანელობს ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის მკაცრი მოთხოვნებით, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების შესაბამისობას ლაბორატორიული კვლევების საერთაშორისო დონესთან.

წლიდან წლამდე, ბიურო ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობების სრულყოფას, აუმჯობესებს მეთოდოლოგიურ მიდგომებს და მაქსიმალურად ზრდის ექსპერტიზის სიზუსტისა და სანდოობის ხარისხს. აფართოებს აკრედიტებული საქმიანობის სფეროებს და მიზანმიმართულად მუშაობს საკუთარი კომპეტენციების განვითარებაზე.

ეს მრავალწლიანი და კომპლექსური პროცესი ემსახურება ერთადერთ მიზანს - საზოგადოებას შესთავაზოს სულ უფრო მაღალი ხარისხის, საერთაშორისოდ აღიარებული და უალტერნატივო საექსპერტო მომსახურება.

2024 წელს ბიუროს ლაბორატორიებმა ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, წარმატებით გაიარეს ყოველწლიური აკრედიტაციის მონიტორინგი და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ექსპერტიზების შესრულების მაღალი სტანდარტი.

წარმატებით განხორციელდა ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის, ნივთიერებათა მასალათა და ნაკეთობათა სამმართველოსა და ნავთობის ექსპერტიზის სამმართველოს სფეროს გაფართოება და დაინერგა კვლევის ახალი მეთოდები.

2024 წლის განმავლობაში, ბიუროში კონკურსის შედეგად დაინიშნა /შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა **70 პირს**. ამჟამად ბიუროში **დასაქმებულია 513 პირი**. შტატით გათვალისწინებულ **თანამდებობაზე 328, შტატგარეშე პოზიციაზე 185 ;**

სულ დასაქმებულია 513 პირი

შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე 328 პირი

შტატგარეშე თანამდებობაზე 185 პირი

საანგარიშო პერიოდში, ბიუროში დარეგისტრირდა ჯამში **70 200** დოკუმენტი. მათ შორის: ინფორმაციული სახის წერილი/ განცხადება **4561,** ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ **65639.**

- **დარეგისტრირებული დოკუმენტები 70 200**
- **ინფომაციული სახის წერილი/განცხადება 4561**
- **ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დოკუმენტი 65639**

- ❑ ფიზიკური, იურიდიული და საჯარო დაწესებულების მომართვის საფუძველზე მომზადდა 596 წერილი;
- ❑ სამართალწარმოების პროცესში, სასამართლოში წარდგენილი იქნა 837 განცხადება/შუამდგომლობა;
- ❑ სამართლებრივი ღონისძიებების განსახორციელებლად სასამართლოში შეტანილი იქნა 155 სარჩელი;

მიმდინარე წელს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მომსახურება გაეწია 33 498 მოქალაქეს

ბიუროს საკუთარმა შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა **43 734 622,21 ლარი 3 848 460. 10 ლარით მეტი 2023 წლის შემოსავალზე;**



ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა **41 981 825,15 ლარი**, რაც გასული წლის მაჩვენებელზე **15 906 116,83 ლარით მეტია**.

მომსახურებების ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის განმავლობაში ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება **92 590 113.30 ლარი**.

მათ შორის:

ანაზღაურებადი მომსახურება **38 047 474.74 ლარი**;

საზღაურის გარეშე **55 974 622.28 ლარი;**



სტატისტიკა

ანაზღაურებადი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები საექსპერტო კვლევების მიხედვით 2022,2023,2024 წლებში

დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	რეალიზაცია
კრიმინალისტიკური ექსპერტიზა	925,520.76	1,592,481.58	1,823,353.56	2,013,934.00
ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა	2,129,247.27	3,630,781.69	3,109,504.76	3,140,283.48
მ.შ ნარკოლოგიური ექსპერტიზა	782,608.92	2,136,290.20	2,023,513.26	
სამედიცინო ექსპერტიზა	87,899.07	78,751.00	101,869.22	93,935.72
ბიოლოგიური ექსპერტიზა	432,274.23	499,120.61	759,679.00	760,055.00
საინჟინრო ექსპერტიზა	12,143,299.88	17,499,943.18	17,255,272.48	15,706,738.94
სასაქონლო ექსპერტიზა	5,533,478.48	12,895,235.99	13,177,162.56	12,811,730.16
ფინანსური ექსპერტიზა	168,724.51	247,701.99	771,898.36	889,869.00
ფსიქიატრიული ექსპერტიზა	299,296.47	752,000.94	1,002,293.54	1,032,030.00
კომპიუტერული ექსპერტიზა	40,304.00	58,322.45	46,441.28	166,914.72
პროცენტიდან მიღებული შემოსავალი	728,647.11	1,913,009.62	3,187,619.18	3,187,619.18
სხვა შემოსავლები	106,540.18	41,930.03	321,956.46	
გასული პერიოდის დავალიანების დაფარვა	1,222,621.66	765,382.88	2,177,572.50	
სულ შემოსავლები	23,817,853.62	39,974,661.96	43,734,622.90	36,615,491.02

საზღაურის გარეშე გაწეული მომსახურეობა საექსპერტო კვლევების მიხედვით

დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
კრიმინალისტიკური ექსპერტიზა	6,088,339.75	5,482,645.00	3,363,680.00
ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა	4,023,661.14	6,609,837.00	9,025,134.00
სასაქონლო ექსპერტიზა	1,834,507.23	1,802,992.23	2,288,456.25
ფინანსური ექსპერტიზა	58,438.00	154,338.00	147,624.30
სამედიცინო ექსპერტიზა	2,437,329.00	5,682,364.46	5,351,383.50
ბიოლოგიური ექსპერტიზა	23,324,833.44	26,085,870.00	25,812,165.00
საინჟინრო ექსპერტიზა	2,338,246.67	2,309,512.64	2,420,760.84
ფსიქიატრიული ექსპერტიზა	550,735.00	1,451,440.00	1,079,770.00
კომპიუტერული ექსპერტიზა	2,847,980.00	5,581,358.45	6,485,648.39
სულ	43,504,070.23	55,160,357.78	55,974,622.28

ექსპერტიზის წარმოების საერთო სტატისტიკა

მთელი წლის განმავლობაში ბიურო მომსახურებით ისარგებლეს როგორც სახელმწიფო უწყებებმა, ისე კერძო კომპანიებმა და ფიზიკურმა პირებმა.

2024 წლის განმავლობაში ბიუროში დაინიშნა **67 076** ექსპერტიზა**.** მათ შორის: **37095** სახელმწიო და **29981** კერძო და გაიცა **101113** დასკვნა**.** მათ შორის: სახელმწიფო **37494** და კერძო **63619.**

N	დეპარტამენტი	დარეგისტრირდა	მიმდინარე	გაიცა (დასკვნა)
1	ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი	8137	914	16733
2	სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი	4940	336	17959
3	ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი	74	18	30
4	სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტი	1691	489	8412
5	კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საიჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი	5595	4416	7535
6	კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი	7111	3057	6975
7	ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი	4081	3969	2221
8	საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი	625	1206	217
9	ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი	4105	6659	2395
10	სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი	11885	15747	10725
11	დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი	10343	893	16138
12	აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი	8194	1629	11773

სოციალური პროექტები

ბიუროსთვის მნიშვნელოვანია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის განხორციელება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით.

2024 წელს, ბიუროს თანამშრომლებმა ახალი წლის დადგომა მიულოცეს სამი მოხუცებულთა პანსიონატის ბენეფიციარებს ტკბილეულით, საჩუქრებით და სიყვარულით გაულამაზეს დღესასწაული.

ჯანდაცვის სფეროს მხარდაჭერის მიზნით, ბიუროს ექსპერტები და თანამშრომლები ყოველწლიურად მონაწილეობენ დონორობის პროგრამაში და ახორციელებენ სისხლის დონაციას იაშვილის სახელობის კლინიკის ბავშვთა ჰემატოლოგიური განყოფილების პაციენტებისთვის.

ბიურო წლიდან წლამდე აუმჯობესებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურებას. ყველა შენობაში დამონტაჟებულია პანდუსები და შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული სველი წერტილები. მუდმივად მიმდინარეობს ბიუროს თანამშრომლების გადამზადება შშმ პირებთან სწორი კომუნიკაციის და მათი საჭიროებების შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით.

გრძელვადიანი პარტნიორობა გრძელდება ფონდ "სოლიდარობასთან", რომლის ფარგლებშიც ბიუროს თანამშრომლები ახორციელებენ რეგულარულ ფინანსურ შენატანებს ფონდის ბენეფიციართა მხარდასაჭერად. მიმდინარე წელს აღნიშნულმა თანხამ შეადგინა **18 067 ლარი**.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო, წლიდან წლამდე დინამიურად ვითარდება და მომხმარებლებს საექსპერტო მომსახურების სფეროში მრავალფეროვან სიახლეებს სთავაზობს.

ბიუროს უმთავრესი პრიორიტეტია, თითოეული მომხმარებელის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა.

2025 წლის განვითარების გეგმა ნათლად ასახავს ამ მიზანს, რომელიც მოიცავს, როგორც ინფრასტრუქტურულ სიახლეებს, ასევე ექსპერტებისა და თანამშრომლების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებულ პროექტებს.

მომხმარებლისთვის გამარტივებული მომსახურების მიღების მიზნით, იგეგმება რამდენიმე საექსპერტო კვლევაზე ონლაინ სერვისის დანერგვა;

ასევე იგეგმება საინორმაციაო - საკონსულტაციო ცენტრის სრული რებრენდინგი.

კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ბიუროს ექსპერტების უწყვეტი განათლება, რომლის ფარგლებშიც, დაგეგმილია, როგორც საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებებში ასევე, კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობა.

2025 წელს იგეგმება ბიუროს ლაბორატორიების აკრედიტაცის განახლება. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდება მენეჯმენტის სისტემის შემოწმება საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17025:2017/2018 მოთხოვნების შესაბამისად;

ბიუროსთვის, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე, მისი კომპეტენციის ფარგლებში აქტიური მონაწილეობა. ამ მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაგეგმილია მრავალი საგანმანათლებლო და სოციალური პროექტი.

აღნიშნული ინიციატივები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ბიუროს საქმიანობის გაუმჯობესებას, არამედ გაზრდის მის როლს საზოგადოებრივი ნდობის მშენებლობაში.